MARTYR MOSES, A SPIRITUAL TEACHER OF THE GREAT-MARTYR QUEEN KETEVAN

დიდმოწამე ქეთევან დედოფლის მოძღვარი წამებული მოსე

Besik Gaprindashvili
PhD in History
Georgian Technical University Associate Professor
ORCID ID: 0009-0000-8367-3486
besogap@gmail.com

Abstract

The history of the Georgian nation is full of descriptions of the martyrs' lives who sacrificedthemselves to protect Christianity and their Motherland in different eras. The ApostolicOrthodox Church of Georgia canonized many martyrs. Hagiographic stories have beenwritten about their merits and some of them have reached us. However, there are Georgianmartyrs, about whom only a little information has been preserved. One of them was Moses,a spiritual teacher of Ketevan Bagrationi, the Great-Martyr Queen.

Key words: Martyr, Saint, Queen Ketevan, The Apostolic Orthodox Church of Georgia

ბესიკ გაფრინდაშვილი
ისტორიის დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ORCID ID: 0009-0000-8367-3486
besogap@gmail.com

აბსტრაქტი

ქართველი ერის ისტორია სავსეა მოწამეთა ცხოვრებით, რომლებმაც სხვადასხვა ეპოქაში ქრისტიანობისა და სამშობლოს დასაცავად სიცოცხლე არ დაიშურეს. საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ მრავალი მოწამე წმინდანად შერაცხა. მათ მიერ გაღებულ ღვაწლზე იწერებოდა ჰაგიოგრაფიული თხზულებები. ამ თხზულებათა ნაწილმა ჩვენამდე მოაღწია. თუმცა არიან ქართველი მოწამეები, რომელთა შესახებ ძალიან მწირი ცნობებია შემორჩენილი. ერთ-ერთი მათგანია დიდმოწამე დედოფლის ქეთევან ბაგრატიონის მოძღვარი მოსე.

საკვანძო სიტყვები: წამებული, წმინდანი, ქეთევან დედოფალი, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია.

შესავალი

1613 წლის მიწურულს, კახეთის დედოფალი ქეთევან ბაგრატიონი (1573-1624), განჯაში დაბანაკებულ ირანის შაჰს აბას I-ს (1587-1629) ეახლა და თხოვა, რომ ხელი აეღო კახეთის სამეფოს აოხრებაზე, მაგრამ შაჰმა დედოფლის თხოვნა არ ისმინა, ქეთევანი დაატყვევა და, თავის ამალასთან ერთად, ირანში, ქალაქ შირაზში გადაასახლა, თვითონ კი თავისი ჯარით კახეთში შეიჭრა და ეს აყვავებული მხარე მიწასთან გაასწორა.

თერთმეტი წელი გრძელდებოდა ქეთევან დედოფლის ტყვეობა შირაზში. კახეთის დედოფალი ირანში დაწინაურებული ქართველის, ალავერდი ხან უნდილაძის ვაჟის, შირაზის მმართველის იმამყული ხან უნდილაძის ერთ-ერთ სახლში თავის ამალასთან ერთად, მოკრძალებულად ცხოვრობდა. ქეთევან დედოფალს შირაზში ახლდა თავისი მოძღვარი, სახელად მოსე, რომელიც განსაცდელში ჩავარდნილ დედოფალს ამხნევებდა და სულიერად განამტკიცებდა. სამწუხაროდ, მოსეს შესახებ ქართველი მემატიანეების გადმოცემებში ცნობები მწირია, მასზე უფრო ვრცლად საუბრობენ იმ ხანის უცხოელი ავტორები და მოგზაურები.

მეთოდი

კვლევა ეფუძნება ისტორიისათვის აპრობირებულ მეთოდებს, მათ შორის, ისტორიულ-აღწერით და ისტორიულ შედარებით მეთოდებს, თემის ირგვლივ არსებული წყაროების კრიტიკული ანალიზისა და შეჯერების შედეგად დასკვნის გამოტანას.

შედეგები

თემის ირგვლივ არსებული მწირი, მაგრამ ნიშანდობლივი მასალების მოძიებით, შესწავლითა და შეჯერებით წარმოვაჩინეთ XVII საუკუნეში მოღვაწე კიდევ ერთი ღირსეული ქართველი სასულიერო პირი, რომელმაც დიდი განსაცდელის ჟამს სიმტკიცე გამოიჩინა, უარი თქვა რჯულის შეცვლაზე და წამების გვირგვინი დაიდგა. დავაზუსტეთ მისი სახელიც - მოსე.

მსჯელობა და დასკვნა

პორტუგალიელი ელჩი დონ გარსია დე სილვა ი ფიგეროა, რომელიც შირაზში პირველად 1617 წლის 25 ნოემბრიდან 1618 წლის 5 აპრილამდე იმყოფებოდა, გადმოგვცემს, რომ მან გაიცნო ერთი დარბაისელი ბერი წმინდა ბასილის ორდენიდან (იგულისხმება აღმოსავლეთის წესის, ე.ი. მართლმადიდებელი ბერი. იხ. ავალიშვილი, 1938: 53), სახელად მოსე, რომელიც ქეთევან დედოფლის მოძღვარი ყოფილა (გულბენკიანი, 1987: 63). ფიგეროას თქმით, ქეთევან დედოფლის მოძღვარი: „თავშეკავებული მეტყველებით, თავმდაბლობითა და ნამდვილი ღვთისმოსავის გარეგნობით ძალიან ჰგავდა ძველი ეკლესიის ბერებს, რადგანაც მას, გარდა გარეგნული ნიშნებისა, ემჩნეოდა ცხოვრების სიწმინდე და საქციელის სისადავე, რაც ესოდენ მისაბაძია ჩვენი ევროპელი ბერებისათვის„ (თამარაშვილი, 1995: 540), (ტაბაღუა, 1986: 114). მოსეს, პორტუგალიელი ელჩისათვის უჩვენებია

ორი ქართული ხელნაწერი, საუცხოოდ ყდაში შეკრული და შემკული: დაბადება დავითნით და სახარებანი მოციქულთა საქმით და წმინდა პავლეს ეპისტოლეებით (ავალიშვილი, 1938: 54).

ქეთევანის მოძღვრის შესახებ გადმოგვცემს იმხანად შირაზში მოღვაწე ავგუსტინელი ბერი ამბროზიო დუშ ანჟუშიც, რომელიც ქეთევან დედოფალს პირადად იცნობდა: „დედოფალს თან ჰყავდა თავისი ეროვნების მღვდელი, დარბაისელი კაცი, რომელსაც თავისი ამხანაგიც ახლდა, მღვდელი დედოფალსა და მის თანხმლებ პირებს სასულიერო საქმეებში ემსახურებოდა“ (გულბენკიანი, 1987: 30).

პორტუგალიელი ელჩის ფიგეროას გადმოცემით, სპარსელები ფიქრობ-დნენ, რომ ქეთევან დედოფალი სულიერ სიმტკიცეს მისი მოძღვრის, მოსეს გავლენითა და შეგონებით ინარჩუნებდა, ამიტომ მოსეს ქეთევანისგან ჩამოცილება განიზრახეს. ქეთევანის მოძღვარს უსაფუძვლოდ დასდეს ბრალი, რომ თითქოს ის, შირაზის ხანის კანცლერის - ასანბეგის ცოლთან მრუშობდა. ასანბეგი წარმოშობით სპარსი იყო, მისი მეუღლე მდიდარი თურქმანი ქალი გახლდათ, რომელიც ახალგაზრდობის მიუხედავად განა-თხოვარი ყოფილა. ასანბეგის ცოლს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ქეთევან დედოფლის მხლებელ ქალებთან და თვით დედოფალთან. ასანბეგის სახლი ქეთევან დედოფლის საცხოვრისის გვერდით იდგა და ორივე სახლს ერთი შესასვლელი ჰქონდა. ამის გამო სპარსელები ფიქრობდნენ, რომ თურქმან ქალბატონს სიახლოვე ჰქონდა ქეთევანის მოძღვართანაც. ეს ამბავი მათ ასანბეგს აცნობეს. ფიგეროას თქმით: „ასანბეგი ეჭვიანობდა და როცა შეამჩნია, ცოლი თანდათან შორდებოდა, ერთ დილას ყასიდად შაჰთან (იგულისხმება შირაზის მმართველი) წავიდა, მაგრამ მაშინვე დაბრუნდა ხუთი თუ ექვსი მეომრის თანხლებით, მოძღვრის ოთახში შევიდა და როცა დაინახა ნახევრად გახდილი მოძღვარი, რადგან ძალიან ცხელოდა, ხმლით შეუტია, მოკვლა დაუპირა; მოძღვარმა კი ხმალი ხელიდან გამოგლიჯა და ნაცვლად იმისა, რომ თვითონ გამოეყენებინა, ფანჯრიდან გადააგდო, ხოლო თვითონ ჯარისკაცებს ჩაბარდა. ასანბეგმა წარმოიდგინა, თითქოს ცოლი მათი სახლების გამყოფ დაბალ კედელზე გადაძვრა და თავს უშველა, აიღო ერთ-ერთი ჯარისკაცის ხმალი, ცოლი მოაძებნინა და მოკლა. შაჰმა (შირახის ხანმა) კი მოსე მაშინვე თავიანთი სახლის წინ დიდ მოედანზე გააყვანინა და შეეცადა, თავის რელიგიაზე ხელი აეღებინებინა, სანაცვლოდ დაბრალებული დანაშაულის პატიებას დაპირდა, თანაც დიდი თანხა შესთავაზა. მოსემ ეს არ მოისურვა, მტკიცედ დადგა ქრისტეს სჯულზე, რასაც საქვეყნოდაც აცხადებდა, ვიდრე ქვით არ ჩაქოლეს და ხმლებით არ აკუწეს“ (თამარაშვილი, 1995: 541), (ტაბაღუა 1986 113-115). ეს ამბავი ფიგეროას სპარსელებმა მოუთხრეს. შირაზში მცხოვრებ ებრაელებს კი პორტუგალიელი ელჩისთვის მოსეს სიკვდილით დასჯის ნამდვილი მიზეზი გაუმხელიათ. მათი თქმით: „ასანბეგს ცოლის ქონების ხელში ჩაგდება უნდოდა, რასაც სხვა გზით ვერ შეძლებდა. ამიტომ მოიმიზეზა ცოლის და მოძღვრის მიერ ჩადენილი შეთხზული დანაშაული“ (თამარაშვილი, 1995: 541). მოსეს სიკვდილით დასჯის შესახებ ფიგეროამ შეიტყო შირაზში მეორედ ყოფნის პერიოდში 1618

წლის 8-22 სექტემბერს. ელჩისთვის უთქვამთ: მოსე რამდენიმე თვის წინ აწამესო (გულბენკიანი< 1987: 63). ამ ცნობის მიხედვით მოსე სიკვდილით დაუსჯიათ 1618 წელს.

ამბროზიო დუშ ანჟუშის გადმოცემით, ქეთევან დედოფლის მოძღვარი სიკვდილით დასაჯეს ქეთევანის წამებამდე სამი წლით ადრე 1621 წელს, რაც პორტუგალიაში მოღვაწე სომეხი ისტორიკოსის რობერტო გულბენკიანის აზრით სიზუსტეს მოკლებული უნდა იყოს, მკვლევარს მოსეს წამების თარიღად 1618 წელი მიაჩნია უფრო სარწმუნოდ (იქვე). ამბროზიოს მიხედვით: „მღვდელს (იგულისხმება ქეთევან დედოფლის მოძღვარი ბ. გ.) ცოლ-ქმრული ერთგულების დარღვევაში დასდეს ბრალი, არ ვიცი მართალია ეს, თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ ქრისტიანი მღვდლების მტერმა მაჰმადიანებმა დასდეს ეს ბრალი და სიკვდილით დასჯის განაჩენიც გამოუტანეს. სიკვდილის წინ შესთავაზეს უარეყო ქრისტიანობა, ჩვენი მაცხოვარი, თავისი რწმენა, გამაჰმადიანებულიყო და სიცოცხლე შეენარჩუნებინა. მღვდელმა უარი განაცხადა. იგი საშინელი წამებით მოკლეს. მისთვის ეს ღვთის წყალობა იყო წაყენებული ყალბი ბრალდებისთვის, რომლის გამოც სიკვდილი მიუსაჯეს“ (გულბენკიანი, 1987: 31).

სპარსელების მიერ ქეთევან დედოფლის მოძღვრის სიკვდილით დასჯის შესახებ ცნობას გვაწვდის XVII საუკუნის იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალეც, თუმცა ეს უკანასკნელი ამბროზიოს მსგავსად მოსეს სახელს არ ახსენებს. ვალეს გადმოცემით: „რადგანაც ის (მოსე ბ.გ.) იყო ძლიერ კეთილი ქრისტიანი, მაჰმადიანებს ეგონათ, რომ ის იმაგრებსო (განამტკიცებსო) დედოფალს და რაკი მოშორდება დედოფალიც გადუდგებაო თავის სარწმუნოებასო და ამისთვის მას შესწამეს რაღაც დიდი დანაშაულობა და მოკლეს. ის მოკვდა ცეცხლზე დამწვარი შირაზში, თავდადებული სარწმუნოებისათვის და აღსავსე დიდის მოთმინებითა“ (პიეტრო დელა ვალე, 1879: 52), (ვათეიშვილი, 214: 82-83).

მოსეს სიკვდილით დასჯის შესახებ იცოდა XVIII საუკუნეში მოღვაწე ქართველმა მემატიანემ, ქეთევან დედოფლის ცხოვრების აღმწერმა გარეჯელმა ბერმა გრიგოლ ვახვახიშვილმა (დოდორქელი). იგი თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „წამება ყოვლად დიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისა“ აღნიშნავს, რომ ქეთევან დედოფალს ტყვეობაში ყოფნის დროს შირაზში თან ახლდნენ: „მხევალნიცა მცირენი და ბერი ერთი, სახითა მღდელი, რომელი უკანასკნელ ცილისწამებითა რაითამე ცეცხლითა დასაჯეს (დოდორქელი, 1989: 22). სამწუხაროდ გრიგოლ დოდორქელი ქეთევნ დედოფლის მოძღვრის შესახებ მეტს არაფერს წერს და არც სახელით იხსენიებს. ქართველი მემატიანის გადმოცემაში, მსგავსად ევროპელ ავტორთა ცნობებისა, დასტურდება ის ფაქტი, რომ მოსე ცილისწამების მსხვერპლი გახდა. აგრეთვე გრიგოლ დოდორქელი ადასტურებს, რომ ქეთევან დედოფლის მოძღვარი შავი სამღვდელოების წარმომადგენელი ბერ-მონაზონი ყოფილა.

ქეთევან დედოფლის ვაჟი, კახეთის მეფე თეიმურაზ I (1606-1648) თავის პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“, ერთ ეპიზოდში იხსენიებს მოსეს:

„მუნ ვინმე ჯვარის მოსავი ერთი უცხოსა ყოფითა,
ვნახე ნაზარდი თამამად, ყოფითა არსამყოფითა,
ფარაოზისგან შეპყრილი სულთა და ხორცთა ყოფითა
მოსე ვით გამაგრებული, მათი სარჯლისა ყოფითა“.

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ აღნიშნულ პოემაში მოხსენიებული მოსე, ბიბლიური მოსე წინასწარმეტყველია (ქართველიშვილი, 2017: 72). თუმცა ზურაბ ავალიშვილს შესაძლებლად მიაჩნდა, რომ მეფე თეიმურაზის პოემაში ნახსენები მოსე, ქეთევან დედოფლის მოძღვარი მოსე ყოფილიყო (ავალიშვილი, 1938: 54).

XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიჟეცი, ქეთევან დედოფლის წამების აღწერისას აღნიშნავს, რომ ქართველ დედოფალთან ერთად ეწამა ერთი მღვდელთაგანი, სხვები (იგულისხმება დედოფლის გარემოცვა) კი მიიმალნენ (არაქელ დავრიჟეცი, 1974: 43). როგორც ირკვევა, სომეხ მემატიანესაც ჰქონდა ცნობა ქეთევან დედოფლის მოძღვრის წამების შესახებ, თუმცა განსხვავებით ევროპელ ავტორთა გადმოცემებისა, მისი მტკიცებით ქეთევანის მოძღვარი დედოფალთან ერთად აწამეს.

XIX საუკუნის ქართველი ავტორები ალექსანდრე სავანელი და თეიმურაზ ბატონიშვილი ქეთევან დედოფლის მოძღვარს - ვასილის სახელით მოიხსენიებენ. ალ. სავანელის მიხედვით: „წმინდა ქეთევან დედოფალს თან ჰყვანდა ორნი ვინმე ხუცესნი..... ერთი მათგანი, სახელი რომლისა არსად იხსენიება, შეიქმნა პატივისმცემელ მაჰმადის სარწმუნოებისა , ხოლო მეორე სავსე, მსგავსად ქეთევანისა, სასოებითა ქრისტესითა, ღირს იქმნა მოწამისა ღვაწლითასა და მიიღო აღსასრული ცეცხლისა მიერ. სახელი ამა ქრისტეს მოწამისა იყო ვასილი“ (სავანელი, 1857: 46). თეიმურაზ ბატონიშვილის გადმოცემით ქეთევანის მოძღვარი დედოფალთან ერთად აწამეს: „ხოლო ეწამა მღვდელიცა ვასილი წმიდასა მას თანავე, ქართუელი, რომელიცა სამარადისოდ განუშორებელად იყოფებოდა წმიდასა მას თანა დედოფალსა, და იქმნა იგიცა მოწამე ქრისტესი“ (თეიმურაზ ბატონიშვილი, 1862: 16). სამწუხაროდ არ არის ცნობილი რა წყაროებით ისარგებლეს ქართველმა ავტორებმა აღნიშნული ამბის გადმოცემისას. სავარაუდოდ მათ ხელთ ჰქონდათ ძველი რუსული თარგმანი პორტუგალიელი ელჩის ფიგეროას ცნობებისა მოსეს შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ მოსე, წმ. ბასილის ორდენის წევრი იყო. შესაძლოა მთარგმნელმა სახელი „ბასილი“ წაიკითხა „ვასილით“, ქართველმა მემატიანეებმა კი „ვასილი“ საკუთარ სახელად მიიჩნიეს და აქედან მომდინარეობს მათი შეცდომაც ქეთევან დედოფლის მოძღვრის ვასილად მოხსენიებისას.

მოსეს წამების შესახებ არსებული წყაროებიდან ყველაზე სარწმუნოა პორტუგალიელი ელჩის ფიგეროას ცნობა. მას პირადად ჰყავდა ნანახი ქეთევან დედოფლის მოძღვარი, რომელსაც მისივე თქმით მოსე ერქვა. ფიგეროა აღწერს მოსეს თვისებებს და ასახელებს მიზეზს თუ რის გამო ეწამა დედოფლის მოძღვარი. სამწუხაროდ სხვა ავტორები და განსაკუთრებით ქართველი მემატიანეები, არასათანადოდ შეეხნენ მოსეს წამების ამბავს. ამის შესახებ მიხეილ თამარაშვილი წერდა: „ქეთევან დედოფლის მოძღვრის წამება, როგორც ჩანს, არ არის ქართული ეკლესიისთვის ცნობილი, რადგან

ამ ამბავს არავითარი კვალი არ დაუმჩნევია მის ტრადიციებზე და არც მის ლიტურგიაზე“ (თამარაშვილი, 1995: 541).

საფიქრებელია, რომ ქეთევან დედოფლის წამებამ (1624 წლის 13 (26) სექტემბერი), რომელმაც მთელი ცივილიზებული სამყარო შეძრა, მოსეს ამბავი გადაფარა. იმ ხანის ქართველმა მწერლებმა ქეთევან დედოფლის ღვაწლზე დაიწყეს წერა და დედოფლის მოძღვრის - მოსეს თავგანწირვა უყურადღებოდ დარჩათ. არადა ქეთევან დედოფლის მოძღვარი ნამდვილად იმსახურებდა, რომ ერთი ჰაგიოგრაფიული თხზულება მის ცხოვრებაზეც დაწერილიყო, რათა მომავალ თაობებს მეტი სცოდნოდა სამშობლოსა და სარწმუნოების დაცვისთვის თავშეწირული ქართველი სასულიერო პირის შესახებ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

avalishvili, z. (1938). *teimuraz I da misi poema tsameba ketevan dedoplisa*. parizi. (ავალიშვილი, ზ. (1938). *თეიმურაზ I და მისი პოემა წამება ქეთევან დედოფლისა.* პარიზი.).

davrijeci, araqel. (1974). *tsnobebi sakartvelos shesakheb*. targmani, shesavali da komentarebi karlo kuciasi. tbilisi. (დავრიჟეცი, არაქელ. (1974). *ცნობები საქართველოს შესახებ.* თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო კუციასი. თბილისი.).

anton katalikosi. (1980). sheskhma da motkhroba ghuatslta da vnebata cmidisa motsamisa dedoplisa ketevanisata, kmnili antonisagan arkhiepiskoposisa qovlisa zemoisa sakartvelosisa, davitian-bagratovanisa. *dzveli kartuli agiograpiuli literaturis dzeglebi*. IV. teksti gamosatsemad moamzades, gamokvleva, leksikoni da sadzieblebi daurtes e. gabidzashvilma da m. kavtariam. tbilisi. (ანტონ კათალიკოსი. (1980). შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისათა, ქმნილი ანტონისაგან არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოისა საქართველოსისა, დავითიან-ბაგრატოვანისა. *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები.* წიგნი IV. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ. თბილისი.).

batonishvili teimurazi. (1862). motsmoba tsmindata shoris ketevanisa kakht dedoplisa. zhurnali *“tsiskari”*. № 4. tpilisi). (ბატონიშვილი თეიმურაზი. (1862). მოწმობა წმინდათა შორის ქეთევანისა კახთ დედოფლისა. ჟურნალი *„ცისკარი“* . № 4. ტფილისი.).

gaprindashvili, b. (2022). *qetevan tsamebuli.* tbilisi. (გაფრინდაშვილი, ბ. (2022). *ქეთევან წამებული.* თბილისი.).

gulbenkiani, r. (1987). *namdvili tsnobebi sakartvelos dedoplis ketevanis motsameobrivi sikvdilis shesakheb*. tbilisi. (გულბენკიანი, რ. (1987). *ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ.* თბილისი.)

dodorqeli, grigol. (1979). tsameba ketevanisi. *dzveli kartuli agiograpiuli literaturis dzeglebi*. t. V. dasabechdad moamzades, gamokvleva, bibliograpia, leksikoni da sadzieble-

bi daurtes e. gabidzashvilma da m. kavtariam. tbilisi. (დოდორქელი, გრიგოლ. (1979). წამება ქეთევანისი. *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები.* ტ. V. დასაბეჭდად მოამზადეს, გამოკვლევა, ბიბლიოგრაფია, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ. თბილისი.)

vateishvili, j. (2014). *sakartvelo da evropis kveqnebi XIII-XIX ss.* t.II, tbilisi. (ვათეიშვილი, ჯ. (2014). *საქართველო და ევროპის ქვეყნები XIII-XIX სს.* ტ. II, თბილისი.).

tamarashvili, m. (1995). *kartuli eklesia dasabamidan dghemde*. redaktsia gauketes, tsinasitqvaoba daurtes da gamosatsemad moamzades z. aleqsidzem da j. odishelma. tbilisi. (თამარაშვილი, მ. (1995). *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე.* რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და ჯ. ოდიშელმა. თბილისი.).

pietro dela vale. (1879). mokhseneba sakartvelozed papi urbanos mervisadmi 1627 ts. *iveria* № 3. (პიეტრო დელა ვალე. (1879). მოხსენება საქართველოზედ პაპი ურბანოს მერვისადმი 1627 წ. *ივერია.* №3.).

savaneli, al. (1857). tskhovreba ketevan dedoplisa. *kartuli saliteraturo zhurnali.* tpilisi. (სავანელი ალ. (1857). ცხოვრება ქეთევან დედოფლისა. *ქართული სალიტერატურო ჟურნალი.* ტფილისი.

tabagua, i. (1986). *sakartvelo evropis arkivebsa da tsignsatsavebshi*. II. tbilisi. (ტაბაღუა, ი. (1986). *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში.* II. თბილისი.)

kartvelishvili, t. (2017). winasittqva. *mepe teimurazi. tsameba ketevan dedoplisa*. tbilisi. (ქართველიშვილი, თ. (2017). წინასიტყვა. *მეფე თეიმურაზი. „წამება ქეთევან დედოფლისა“*. თბილისი.).